პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 21

20 17 წ. "19" 07

ქ.თბილისი

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯ "აისის" ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 23 სექტემბრის №26 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. ცვლილება განხორციელდეს ,,სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ ,,აისის'' ავტორიზაციის შესახებ'' პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 23 სექტემბრის №26 გადაწყვეტილებაში. კერძოდ, გადაწყვეტილების მეორე პუნქტით გათვალისწინებულ დანართში მოცემული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ მეოთხე საფეხურის მეცხოველეობა (მესაქონლეობა) (დუალური მიდგომით) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას კრედიტების მოცულობა განესაზღვროს 125-ით.
2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 19 ივლისის №6 სხდომის ოქმის მეორე ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6.

თავმჯდომარე
ქეთევან ჯაყელი

მდივანი
მაია ჩიხლაძე